საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 551 2017 წლის 15 დეკემბერი ქ. თბილისი

„2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის №638 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2016, 470000000.10.003.019705) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების“:

1. №1 დანართის (დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,826.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	კიბოს სკრინინგის კომპონენტი	1,115.0
2	საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი	37.0
3	1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია	177.0
4	ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა	406.0
5	დღენაკლულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი	91.0
	სულ:	1,826.0.“.

2. №2 დანართის (იმუნიზაცია):

ა) მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მე-3 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება და გადაცემა ცენტრის მიერ ხორციელდება რეგიონული/მუნიციპალური საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების (შემდგომში – სჯდ) მეშვეობით იმ სამედიცინო დაწესებულებებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებენ ვაქცინებისა და შრატების ადმინისტრირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით განსაზღვრულ ნორმებს და ცენტრის მიერ განსაზღვრული წესით რეგისტრირებულნი არიან განმახორციელებელთან სჯდ-ში გეოგრაფიული პრინციპით. სჯდ-ის მიერ დარეგისტრირებული დაწესებულებების შესახებ ინფორმაცია დადგენილი ფორმით წარდგენილ უნდა იქნეს განმახორციელებელთან.“;

ბ) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 18,046.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა	14,403.0
2	სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების შესყიდვა	50.0
3	ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა	3,357.0
4	გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა	216.0
5	აცრა-ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურება	20.0
	სულ:	18,046.0.“.

3. №5 დანართის (პროფესიულ დაავადებათა პრევენცია) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 185.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	სხვადასხვა ტიპის საწარმოებში დასაქმებულთა პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევის კომპონენტი	170.0
2	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული	15.0

	ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის კომპონენტი	
	სულ:	185.0.“.

4. №6 დანართის (ინფექციური დაავადებების მართვა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 11,243.0 ათასი ლარით.“.

5. №7 დანართის (ტუბერკულოზის მართვა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 12,846.3 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიული ღონისძიებების დაფინანსება – 12 500 ლარი თვეში)	2,556.8
2	ლაბორატორიული კონტროლი და ნახველის ლოჯისტიკა	1,064.2
3	სტაციონარული მომსახურება	8,346.5
4	პენიტენციური დაწესებულებებისათვის ტუბერკულოზის მართვის მედიკამენტების, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალების შესყიდვა	0.0

5	ტუბერკულოზის პროგრამის რეგიონული მართვა და მონიტორინგი	37.8
6	ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი და მეორე რიგის (სრული ღირებულების არა უმეტეს 25%-ისა) მედიკამენტების შესყიდვა	521.0
7	სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა (თვეში არა უმეტეს 300 პაციენტისა) ფულადი წახალისების დაფინანსება	320.0
	სულ:	12,846.3.“.

6. №8 დანართის (აივ-ინფექცია/შიდსის მართვა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 7,362.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება	818.0
1.1	მ.შ. აივ-ინფექციაზე/შიდსზე სკრინინგული კვლევისათვის საჭირო ტესტსისტემებისა და სახარჯი მასალების შესყიდვა	150.0
2	აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა	2,736.0

3	აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა	2,158.0
4	აივ-ინფექციის/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის და მეორე რიგის (სრული ღირებულების არა უმეტეს 25%-ისა) მედიკამენტების შესყიდვა	1,650.0
	სულ:	**7,362.0.“.**

7. №9 დანართის (დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 4,461.9 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	ანტენატალური მეთვალყურეობა	2,381.8
2	მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა (2017 წლის 1 მარტამდე დამდგარი შემთხვევების ანაზღაურება)	401.1
3	გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა	394.0
4	ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსისა და სიფილისის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით („ბ“ ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით) უზრუნველყოფა	360.0
5	ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენი-ლალანინემიასა და მუკოვისციდოზზე	707.5

6	ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა	144.0
7	მედიკამენტებითა და საკვები დანამატით უზრუნველყოფა	73.5
7.1	ფოლიუმის მჟავისა და რკინის პრეპარატების შესყიდვა	19.5
7.2	სამკურნალო საშუალებების (მათ შორის, საკვები დანამატის) ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა (საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება და ბენეფიციარებზე გაცემა სამედიცინო დაწესებულებების/აფთიაქების მეშვეობით)	54.0
7.3	მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატის შესყიდვა	0.0
	სულ:	**4,461.9.“.**

8. №10 დანართის (ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 5,278.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორებისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების	989.0

	მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს	
2	ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში	3,490.0
2.1	მ.შ. ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფა (2017 წლის 1 ივლისიდან)	150.0
3	№2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა	117.0
4	ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა	239.0
5	ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	36.0
6	ეფექტურობის შეფასების კომპონენტი	130.0
7	ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება	277.0
	სულ:	5,278.0.“.

9. №12 დანართის (ფსიქიკური ჯანმრთელობა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 8.** პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 15,824.8 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

კომპონენტი	ღონისძიება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1.ამბულატორიული მომსახურება	ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება	2,865.3
	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	70.1
	ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა	148.9
	ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია	662.3
	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	232.2
2.სტაციონარული მომსახურება	ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება	11,313.5
	ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი	532.5
	სულ	15,824.8.“.

10. №13 დანართის (დიაბეტის მართვა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 11,054.2 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	დიაბეტის მართვა	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება	1,161.1
2	სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება	806.6
3	შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	8,646.5
4	უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	236.0
5	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	204.0
	სულ:	11,054.2.“.

11. №15 დანართის (დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 35,479.6 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა	14,406.7
2	პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა	107.6
3	ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება	19,755.8

4	თირკმლის ტრანსპლანტაცია	440.0
5	ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა	726.1
6	სისხლძარღვოვანი მიდგომის უზრუნველყოფა (2016 წლის დეკემბრის თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება დანართ 15.1-ის შესაბამისად)	7.4
7	სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა	36.0
	სულ:	35,479.6.“.

12. №16 დანართის (ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 1,778.0 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	კომპონენტის დასახელება	ბიუჯეტი (ათასი ლარი)
1	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა	357.1
2	ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა	684.9
3	ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა, მათ შორის:	736.0
3.1	ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	450.0

3.2	სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	286.0
	სულ:	**1,778.0.“.**

13. №17 დანართის (იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 6,128.3 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება	**70.4**
2	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება	**352.9**
3	ჰემოფილიითა და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება	**201.6**
4	იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა:	**5,503.4**
4.1	ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	3,789.4
4.2	ფენილკეტონურიით დაავადებულთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა	351.4

4.3	მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	17.7
4.4	მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	15.6
4.5	ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფა	317.3
4.6	იუვენილური ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფა	699.5
4.7	დიდი თალასემიით დაავადებულთა რკინის შემბოჭავი პრეპარატებით უზრუნველყოფა	96.5
4.8	სპეციალური სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები	216.0
	სულ:	**6,128.3.“.**

14. №18 დანართის (სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 35,644.4 ათასი ლარით, შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	სასწრაფო სამედიცინო დახმარება მ.შ.:	3,549.0

1.1	სასწრაფო სამედიცინო დახმარება (ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო სამედიცინო დახმარება)	724.6
1.2	საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირთა და საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ საზღვარგარეთის ქვეყნების ხელმძღვანელთა გადაუდებელი სამედიცინო დახმარება (2016 წლის დეკემბერში გაწეული მომსახურების ანაზღაურება)	37.0
1.3	სამედიცინო ტრანსპორტირება: რეფერალური დახმარება (2017 წლის 1 ივნისამდე გაწეული მომსახურების ანაზღაურება)	2,787.4
2	სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება	32,095.4
	სულ:	**35,644.4.“.**

15. №19 დანართის (სოფლის ექიმი) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 25,489.9 ათასი ლარით:

№	**კომპონენტის დასახელება**	**ბიუჯეტი (ათასი ლარი)**
1	პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთისა და	19,478.2

	სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა)	
2	სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება	3,687.5
3	შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება	203.7
4	სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა	2,120.5
	სულ:	25,489.9.“.

16. №21 დანართის (სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 838.0 ათასი ლარით, მათ შორის:

ა) სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა ამბულატორიული შემოწმების კომპონენტი – 668.0 ათასი ლარით;

ბ) სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა დამატებითი გამოკვლევების კომპონენტი – 170.0 ათასი ლარით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი